საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
პრეზიდენტის აპარატის,
ეროვნული ბანკის ბანკოფილებაში
14 11 2012 №292/24

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N292/24

ქ. თბილისი

14 ნოემბერი, 2012 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით
მისამართი: თბილისი, 0105, ლეონიძის ქ. 3/5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

მიმწოდებელი: შპს „იუ-ჯი-თი", დირექტორის გურამ ხოჯანაშვილის სახით
მისამართი: საქართველო ქ. თბილისი, 0179, ჭავჭავაძის გამზირი N17ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: **BAGAGE22;** ა/ა **GE88BG0000000261644601**

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბანკნოტების დამხარისხებელი მანქანის „Cobra-4004" სათადარიგო ნაწილის, კერძოდ: სისქის განმსაზღვრელი დეტექტორის მოძრაობის გადამცემი მუფტის (შემდგომში „საქონელი") მიწოდება ქვემოთ მოცემული ცხრილის და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV კოდი – 30132200).

N	დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარი)	
			ერთეულის	საერთო
1	სისქის განმსაზღვრელი დეტექტორის მოძრაობის გადამცემი მუფტა (Pulley clutch D/A THK DET (TB78)	1	770.00	770.00
	სულ:			**770.00**

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სებ–ის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ქოჩიაშვილი და შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს ერთიანად, არაუგვიანეს 5 დღისა ხელშეკრულების გაფორმებიდან, შემსყიდველის მისამართზე.

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. შემსყიდველის მხრიდან 3.2 პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 770.00 (შვიდას სამოცდაათი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიში, საგადასახადო ა/ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული საქონელი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მიიღოს მისი ღირებულება.

6. გარანტია

6.1. საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას უწესივრობა ან შეცვალოს საქონელი, შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს საქონლის მიღებიდან.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 10%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
გიორგი მელაშვილი _____	**გურამ ხოჯანაშვილი** _____
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 14 ნოემბერი, 2012 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ბანკნოტების დამხარისხებელი მანქანის „Cobra-4004“ სათადარიგო ნაწილის, კერძოდ: სისქის განმსაზღვრელი დეტექტორის მოძრაობის გადამცემი მუფტის შესყიდვის განხორციელებაში (მიმწოდებელი: შპს „იუ-ჯი-თი) მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აღმასრულებელი დირექტორი _____ გიორგი მელაშვილი

საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი _____ ალექსანდრე ქოჩიაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მელაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი _____ ზურაბ ღონღაძე